სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0000085328

26/01/2023

„შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1459091 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს "ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელის" სააპელაციო საჩივრის, საჩივარზე თანდართული დოკუმენტების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1459091 გადაწყვეტილებისა და №1458258 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. არ დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ (ს/კ: 245409838) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1515930 29/11/2022; დამატებითი კორესპონდენციის ცენტრში რეგისტრაციის №1562675 07/12/2022).
2. გაზიარებულ იქნას ,,შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1459091 გადაწყვეტილება.

3. სააპელაციო საბჭოს 2023 წლის 26 იანვრის № 84492 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა